



საქართველო

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია

GEORGIA

ZUGDIDI MUNICIPALITY CITY HALL



ზუგდიდი

N 1411

07/07/2020

1411-02-4-202007071422



მერის ბრძანება

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმის განსაზღვრისა და რეორგანიზაციის მეორე ეტაპის დაწყების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის; საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე და 53-ე მუხლების; „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, „პროფესიული საჯარო მოხელის მოხილობის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №199 დადგენილებისა და „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის დაწყების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 6 ივლისის N1397 ბრძანების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

- დაიწყოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის მეორე ეტაპი - მერიის რეორგანიზაციისათვის აუცილებელი სამართლებრივი აქტების ცვლილებების მომზადება და ორგანიზაციული სტრუქტურის პროექტის შემუშავება.
- შეიქმნას რეორგანიზაციის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:
 - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი - გიორგი შენგელია;
 - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - გიგა ფარულავა;
 - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - კონსტანტინე კაკავა;
 - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი - თენგიზ შანავა;
 - სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი - ნინო სხულუხია;
 - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი - ნათია ჩიტაია;
 - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - ირაკლი ამანათიძე.
- სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მთლიანად ან ნაწილობრივ ახალი სტრუქტურისა და მისგან გამომდინარე შესაბამისი სამართლებრივი აქტების (საშტატო ნუსხა, დებულებები და საჭიროების შემთხვევაში სხვა სამართლებრივი აქტები) პროექტების შემუშავება;
- განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმა დანართი N1-ის შესაბამისად;

5. დაევალოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოების განყოფილებას (კ. მოსიძე) და ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებას (ი. ამანათიძე) ბრძანების ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ყველა საჯარო მოხელისათვის გაცნობა.
6. დაევალოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას (მ. თოდუა) ბრძანების ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე (<http://zugdidi.mun.gov.ge/>) გამოქვეყნება.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ზუგდიდი, რ. ლალიძის ქ. №12).

გიორგი შენგელია

მერი



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის გამო განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმა

N	განსახორციელებელი ღონისძიებები	განხორციელების ვადა	პასუხისმგებელი პირი
1	„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტის მომზადება;	არაუგვიანეს 2020 წლის 30 ივლისისა	<ul style="list-style-type: none"> • ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე; • მერის მოადგილე; • ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი; • ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი; • იურიდიული განყოფილების უფროსი;
2	„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტის მომზადება; საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების/სამსახურების დებულებების პროექტების მომზადება;	არაუგვიანეს 2020 წლის 30 ივლისისა	ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილება;
3	საჯარო მოხელეთა სამუშაო აღწერილობის პროექტის მომზადება;	არაუგვიანეს 2020 წლის 30 ივლისისა	ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება;
4	საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების პროექტის მომზადება;	არაუგვიანეს 2020 წლის 30 ივლისისა	ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება;
5	„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტის წარდგენა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დასამტკიცებლად;	არაუგვიანეს 2020 წლის 7 აგვისტოსა	ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება;
6	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხით განსაზღვრული თანამდებობების შესაბამისი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების-ბრძანებების პროექტების მომზადება და გამოცემა;	არაუგვიანეს 2020 წლის 1 სექტემბრისა	ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება;
7	რეორგანიზაციის გამო თანამდებობიდან გასათავისუფლებელ მოხელეთა სიის განსაზღვრა;	არაუგვიანეს 2020 წლის 30 ივლისისა	ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება;

8	თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ მოხელეთა გაფრთხილების უზრუნველყოფა;	არაუგვიანეს 2020 წლის 31 ივლისისა	ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოების განყოფილება;
9	მობილობის პროცესის უზრუნველყოფა;	არაუგვიანეს 2020 წლის 1 სექტემბრისა	ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება;
10	მოხელეთა მობილობის შეუძლებლობის შემთხვევაში შტატების შემცირების გამო მოხელეთა გათავისუფლება და რეზერვში ჩარიცხვა.	არაუგვიანეს 2020 წლის 1 სექტემბრისა	ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება;